



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ლიტანიშვილი ოთარ ანტონის ძე



ო. ლიტანიშვილი

ლიტანიშვილი ოთარ ანტონის ძე (15. II. 1923, თბილისი, – 26. IX. 2003, იქვე), არქიტექტორი, მხატვარი. საქართველო. სახ. მხატვარი (1980), საქართველო. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1968). დაამთავრა სპი-ის არქიტექტურის ფაკ-ტი (1949). II მსოფლიო ომის (1939–45) მონაწილე. 1955–57 იყო სოხუმის მთ. არქიტექტორი; 1957-იდან – თბილისის მთ. მხატვარი; 1989-იდან ხელმძღვანელობდა თბილ. დიზაინისა და კეთილმოწყობის სამმართველოს; თბილ. მერი – 1992–93; საქართველო. მე-3 მოწვევის პარლამენტის წევრი (1993–94); 1996 აირჩიეს თბილ. აღორძინების ფონდის პრეზიდენტად.

ლ. ავტორია არქიტ. პროექტებისა თბილისში, სოხუმში, გუდაუთაში და სხვ.; მოღვაწეობდა ქართ. თეატრის სცენოგრაფიაში. გაფორმებული აქვს 40-მდე დადგმა შოთა რუსთაველის, კ. მარჯანიშვილის, ა. გრიბოედოვისა და სხვ. თეატრების სცენებზე; იყო თბილ. 1500 წლისთავისადმი მიძღვნილი გეიმის მთ. მხატვარი (1958), პირველი ათი „თბილისობის“ დღესასწაულის სცენარისტი და მთ. მხატვარი.

მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები, მ. შ. III ხარისხის ვახტანგ გორგასლის ორდენი (1998), ღირსების ორდენი (1998). თბილისის საპატიო მოქალაქე (1983).

დაკრძალულია მწერალთა და საზ. მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.
